პროლეტარელო ყველა ძმეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР — СОЮЗ СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 116 (19258) სამშაბათი, 21 მაისი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს მიიღეს დადგენილება „ხელმოკლე პენსიონერებისა და ოჯახებიგან მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების, მარტოხელა მოქალაქეთათვის ზრუნვის გაძლიერების უპირველეს ღონისძიებათა შესახებ“

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განხორციელდა ბავშვებიანი ოჯახებისადმი სახელმწიფო დახმარების გაძლიერების სოციალურ ღონისძიებათა კომპლექსი, გაუდიდდათ დახმარება მარტოხელა დედებს, მოემატათ მოხუცებულობისა და ინვალიდობის გამო პენსიები მუშა-მოსამსახურეებს. უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა იმისათვის, რომ საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილეობა მიიღონ შრომისუნარიანმა პენსიონერებმა და ქალებმა, რომლებსაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ.

ამასთან მოსახლეობის ხელმოკლე კატეგორიის, განსაკუთრებით მარტოხელა შრომისუუნარო მოქალაქეთა ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების ამოცანების გადაწყვეტება მოითხოვს განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მათი საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესება, მოხუცებულთა და ინვალიდთა სოციალური მომსახურების სისტემის განვითარება, ბავშვებიანი ოჯახებისადმი სახელმწიფო დახმარების გაძლიერება.

დადგენილებით საჭიროდ არის მიჩნეული, რომ 1985 წლის 1 ნოემბრიდან კოლმეურნეობის წევრებს მოხუცებულობის გამო პენსიის მინიმალური ოდენობა გაუდიდდეთ 28 მანეთიდან 40 მანეთამდე თვეში და შესაბამისად გაუდიდდეთ ინვალიდობისა და მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიების მინიმალური ოდენობა, აგრეთვე გაუდიდდეთ პენსიები მუშებს, მოსამსახურეებსა და მათს ოჯახებს, რომლებსაც 10 წელზე მეტი ხნის წინად დაენიშნათ თვეში 60 მანეთამდე, და მიუახლოვდეს იგი პენსიათა დონეს, რომლებიც ამჟამად ენიშნებათ ანალოგიური პროფესიისა და კვალიფიკაციის მუშაკებს.

სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებს ენიჭებათ უფლება მარტოხელა ძალიან გაჭირვებულ პენსიონერ მუშებს, მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს დაუნიშნონ პენსიის დამატება იდგილობრივი მიუწვდომის სახსრების ხარჯზე. დამატების ოდენობა განისაზღვრება პენსიონერთა ფაქტობრივი მატერიალური მდგომარეობის საფუძველზე. ამასთან პენსიისა და დამატების საერთო ოდენობა არ უნდა აღემაჭიბოდეს თვეში 50 მანეთს.

1985 წლის 1 ნოემბრიდან იმ მუშა-მოსამსახურე და კოლმეურნე პენსიონერებს, რომლებიც მინიმალური ოდენობის პენსიებს იღებენ, ღირებულების 50 პროცენტის ფასდაკლებით მიეყიდებათ ექიმის რეცეპტებით შესაბამისი წამლები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ თვეში 30 მანეთამდე გაზარდონ ყველაფიერი დახმარება, რომელიც მარტოხელა უპენსიო მოქალაქეებს ენიშნებათ.

დაისახოს მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების ქსელის გაფართოების ღონისძიებანი.

გაეფრთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა უნდა გააკეთონ ზრუნვა შრომის ვეტერანებისათვის, რომლებიც პენსიიაზე გავიდნენ, გაუწიონ მათ საჭირო დახმარება, გაფართოონ სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე შრომის ვეტერანთათვის სახლ-ინტერნატების მშენებლობის პრაქტიკა. გათვალისწინებულია ყოველმხრივ განვითარდეს მარტოხელა მოხუცებულებისა და შრომისუუნარო მოქალაქეებისადმი პროფკავშირული, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების სამეფო დახმარება.

კოლმეურნეთა საკავშირო საბჭოს რეკომენდაცია მიეცეს განაორიენტოს მოხუცებულთა და ინვალიდთა საკოლმეურნეობათშორისო და საკოლმეურნეო სახლ-ინტერნატების ქსელის შემდგომი განვითარებისათვის. გაათავისუფლოს ამ დაწესებულებებში ცხოვრების, სამედიცინო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობები.

1985 წლის 1 ნოემბრიდან 20 პროცენტით იზრდება კვების, მედიკამენტებისა და სხვა საჭიროებათა ხარჯების ნორმები მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში.

მოიწონეს სომხეთის სსრ, ესტონეთის სსრ და ირკუტსკის ოლქის გამოცდილება, რომელიც მათ შეიძინეს მარტოხელა მოხუცებულთა მოქალაქეთათვის სპეციალური სახლების და მათთან ერთად სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამსახურების კომპლექსისა და პენსიონერთა შრომითი საქმიანობისათვის ბინებში ყველა კეთილმოწყობილობის მქონე ნაგებობების შექმნის, ასევე ინვალიდებისა და ხანდაზმულ მარტოხელა მოქალაქეთა ოჯახებში ყოფნის ორგანიზაციის, ამ ბინებში ინვალიდებისა და ხანდაზმულ ადამიანთა ოჯახებში ყოფნის ორგანიზაციის, ასევე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შედეგები და სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მზადების ამოცანები

(გაგრძელება)

2. საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიში.

3. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი პარტიის XXVII ყრილობისათვის — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 — 1990 წლებისა და 2000 წლამდე პერსპექტივის ძირითადი მიმართულებანი".

4. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

5. სკკპ XXVII ყრილობის დელეგატთა არჩევნები.

არის წინადადება, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე წარსაგზავნად არჩეულ იქნეს თითო დელეგატი 270 პარტიის წევრთაგან. კომუნისტები, რომლებიც საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, შინაგანი და სასაზღვრო ჯარების პარტიულ ორგანიზაციებში შედიან, დელეგატებს ირჩევენ შესაბამის ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის სამზადისი მიმდინარეობს ორგანიზებულად, იმ სპეციალური გეგმის შესაბამისად, რომელიც შარშან შემოდგომაზე დამტკიცა ცენტრალური კომიტეტის ბიუროამ. შექმნილი სამუშაო ჯგუფს სათავეში უდგას ამხ. ბ. ვ. ნიკოლსკი.

წინა ყრილობაზე ძალზე ეფექტიანი გამოდგა დელეგატთა სპრობლემო ჯგუფები. ამ ჯგუფებში შეიძენთ ღრმად, უფრო მაღალ პროფესიულ დონეზე გვიმსჯელია საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. საჭიროა აღვნიშნოთ რაც შეიძლება მეტმა კომუნისტმა ხელმძღვანელმა ჩაიბაროს ყრილობას ანგარიში იმის შესახებ, თუ რა შუშაობას ეწევიან თავიანთ უბნებზე, როგორ ასრულებენ დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობას. საპრობლემო ჯგუფების ჩამოყალიბება კი სწორედ რომ საოცახოდ უზრუნველყოფს ასეთ მიდგომას. ამ თვალსაზრისით დიდი შუშაობა მოიწევს ცენტრალური კომიტეტის ყველა განყოფილებას და განსაკუთრებით ორგანიზაციულ-პარტიული შუშაობის განყოფილებას.

ყრილობისწინა პერიოდი უნდა გამდეს ყველა პარტიული ორგანიზაციის და განსაკუთრებით ჩვენი პარტიის პირველადი რგოლების აქტიურობის შემდგომი ზრდის ხანა. უფროსნეს ყოველისა, საჭიროა რაც შეიძლება უკეთ შევასახოთ ხორცი პირველადს პარტორგანიზაციათა მდივნების რესპუბლიკური კრებების რეკომენდაციებს, რათა ყოველნაირად შევიწყოთ ხელი კომუნისტთა შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის ზრდას. ამასთან თითოეულმა უნდა ქკითხოს საკუთარ თავს: ყველაფერი იღონე მან, ყველაფერი იღონე მისმა თანამშრომელმა ამხანაგებმა პარტიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ყველამ გამოიყენა არსებული რეზერვები და შესაძლებლანი, ყოველთვის დგანან იმ ნდობის მოწოდების სიმაღლეზე, რომელსაც მათ პარტია უწევს? თვითკონტროლი, ანგარიშგება, რომ თქვის, კონტროლის უმაღლესი და ყველაზე სრულქნილი ფორმაა, ხოლო პარტიის გადაწყვეტილებათა წარმატებული რეალიზაცია — ჩვენი პარტიის პოლიტიკური ავტორიტეტის ზრდის საუკეთესო საფუძველი.

კომუნისტური პარტიის ყრილობა პარტიოდენ საერთო-პარტიული კი არა, საერთო-პოლიტიკური, საერთოსახელმწიფოებრივი მოვლენაც არის. ამიტომ მის სამზადისსა და მოწყობაში ყველაზე აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდნენ სახელმწიფო, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები. საბოლოო ანგარიშით, პარტია თავის კურსს ახორციელებს ამ ორგანიზაციებში მომუშავე კომუნისტთა მეშვეობით.

მაგალითად, სოლიდურ შუშაობას ეწევიან რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო. განსაკუთრებით დემოკრატიზმის გაფართოებას, დეპუტატთა ფორმირების გაკქტიურებას, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების როლის ამაღლებას, მართვის ტერიტორიული საფუძვლების გაძლიერებისათვის და ა. შ. მაგრამ ნორც ის დაგავიწყდეთ, რომ ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს საქმიანობა ყოველთვის როდი აკმაყოფილებს პარტიის თანამედროვე მოთხოვნებს.

ეფექტრობ, ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი განყოფილებების, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს თანამშრომელი ამხანაგები დამეთანხმებიან ამაში. და სავსებით სწორია, რომ ისინი პირიქით გაამეორონ საყრილობო პერიოდში ადგილობრივ საბჭოებად შუშაობა, რეგულარულად მოისმინონ მათი ანგარიშგება, უფრო ხშირად მოაწყონ დეპუტატებისა და საბჭოთა მუშაკების შეხვედრები მოსახლეობასთან, მიიღონ მონაწილეობენენ შრომელთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნების და ინტერესების შესწავლაში. ჩვენ ვთხოვთ აღრეთვე მინისტრთა საბჭოს საქართველოს საგეგმო კომიტეტისა და სხვა ორგანოების მეშვეობით საქმიანი, კონკრეტული დახმარება გაუწიოს შრომელთა კოლექტივებს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც სიძნელეები აქვთ წლიური და ხუთწლიანი გეგმების შესრულებაში, საგნობრივად იმუშაონ ასეთ ორგანიზაციებთან.

ყრილობის სამზადისი ღვიძლი საქმეა ჩვენი პროფკავშირებისა, რომლებიც მოწოდებული არიან ამ პერიოდში ფართოდ გაიაზოონ სოციალისტური შეჯიბრება და წარმართონ იგი იმ ვარაუდით, რომ ქვაკუთხედად დადგეს მთელი რესპუბლიკის ინტერესები, რომ ყოველი კოლექტივი იღებდეს მონაწილეობას რესპუბლიკაში ხუთწლიანის გეგმის შესასრულებლად. სოციალისტური შეჯიბრება თვითმმართველობის ერთ-ერთი ფორმაა. შეჯიბრება პროცესში გამართულს უფრო აქტიურად შეეამოწმოთ შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ახალი ფორმები და მეთოდები, ყოველნაირად განვამტკიცოთ შრომისა და წარმოების დისციპლინა.

სერიოზული ამოცანები დგას კომკავშირის წინაშე. მთავარია, ახალგაზრდობის საყრილობო ინიციატივები ემყარებოდეს მაღალ ზნეობრივ საფუძველს, ჭარნიტის ალმზრდელობითი დატვირთვა. ამისათვის კი აუცილებელია ძირფესვიანად აღმოვფხვრათ ფორმალიზმის გამოვლინებანი, წავაბალისოთ ყოველი ახალგაზრდის, ქალაქელის, ჯაბუკის, ყმაწვილის კონკრეტული, რეალური წვლილი.

ყრილობის მასალებში დაკონკრეტებულ გამოხატულებას ჰპოვებს მართვა-გამგეობის ყველა ორგანოს საქმიანობა. მაგრამ უნდა დავიწყოთ, რაღა ოქმა უნდა, ეკონომიკით. სწორედ ეკონომიკა თითოეული კომუნისტის, ყველა შრომელის უპირველესი საზრუნავი. აპრილის პლენუმმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა ის დებულება, რომ საბჭოთა საზოგადოების განვითარებას გადაწყვეტილად განაახლებენ ეკონომიკაში მომხდარი ფუნდამენტური ძვრები, მისი გადაყვანა ინტენსიური ზრდის რელსებზე, ეფექტიანობის ყოველმხრივი ამაღლება. სწორედ ამ პოზიციებიდან უნდა ვაფასებდეთ სახალხო მეურნეობის მდგომარეობას, ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა, და განსაზღვრავდეთ სამერმისო ამოცანებს.

და სწორედ ამიტომ ჩვენ სერიოზულ მნიშვნელობას ვანიჭებთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ოთხი თვის შედეგებს.

მთლიანად, ძირითადი მაჩვენებლები იმედის მომცემია. მრეწველობამ გამოუშვა თითქმის 68 მილიონი მანეთის დამატებითი პროდუქცია და 5,6 პროცენტით გადაამეტა გასული წლის შესაბამისი პერიოდის დონეს. შარშანდელი ეადების გასწრებით მიმდინარეობს საგაზაფხულო კულტურების თესვა. მეტია დამზადებული ორკესი, რძე, ყვერცხი, ძლიერდება კაპიტალური მშენებლობის ტემპი. სტაბილიზებული გახდა ტრანსპორტის შუშაობა. გადიდდა საკალო საქონლობრივნეული და ბოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა.

სრულდება შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების დამატებითი შემცირების ვალდებულებანი, გადაჭარბებით ხორციელდება ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების დაკალება.

წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია, მისი ეფექტიანობის ზრდა — ეს არის გრძელვადიანი, სტრატეგიული ამოცანაც და ეკონომიკის განვითარების გადაუდებელი საკითხიც, მომავალი წლის წარმატებული დამთავრების ძირითადი რეზერვი. 1985 წლის გეგმა კი, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე აღინიშნა, უნდა შესრულდეს, თანაც — ყოველგვარი კორექტივების შეოტანლად.

ამ დებულებას უფროსად პრინციპული მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის. სამეურნეო წარმოების ზრდას მიმდინარე წლისათვის დაგეგმილი ტემპი სრულად ვერ უზრუნველყოფს ხუთწლიანი დავალების რეალიზაციას. ამას ბერდი, როგორც იქით, წლის დამდეგიდან ზოგიერთმა საკადაშორო სამინისტრომ და უწყებამ თავიანთ საქვეუწყებო საწარმოებს წარმოების შემცირებულ მოცულობაზა დავალებანი მიაწოდეს. ეს ეხება ენერგეტიკულ ობიექტებს, რესურსებით უზრუნველყოფას, ბაზრის კონიუნქტურას, სხვა სიძნელეებს, — მთლიანად საკმაოდ შთამბეჭდავი შედეგები გვაქვს მიღწეული სხვა პარამეტრების მიხედვითაც, თუმცა ისინი მაინც ჩამორჩენენ ხუთწლიანი გეგმებისწინებულს.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობის ზრდის ტემპის მიხედვით, რომელიც ჩვენში 113,3 პროცენტს შეადგენს, ჩვენ ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე მაჩვენებელი გვაქვს ქვეყანაში. სწორედ იზრდება ხაცალ საქონლეობრივნეა — 124,8 პროცენტი, მოსახლეობის რეალური შემოსავალი — 120,4 პროცენტი. არსებითად დიდდება საერთო-ეკონომიკური პოტენციალი. მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის მატება შეადგენს 27,3 პროცენტს, წარმოებული ეროვნული შემოსავლისა — 28,7 პროცენტს.

და მაინც, მოსალოდნელი ჩამორჩენა დაღს დასვამს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პროგრამის რეალიზაციას. რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობაზე კარგად უნდა გვიანალიზოთ მთელი ეს ტენდენციები და პროცესები და განვსაზღვროთ გზები, რათა მეთორმეტე ხუთწლიდში ავინაზღაუროთ დაშვებული ხარვეზი, შევინარჩუნოთ ეკონომიკის ზრდის სწრაფი ტემპი.

ამავე დროს **იმ მაჩვენებლების მიხედვითაც,** სადაც ხუთწლიანი გეგმის შესრულების მხრივ მეტ-ნაკლებად სასიკეთო სიტუაცია იქმნება, დიდი ორგანიზატორული შუშაობა მოგვიწევს. მთელი ჩვენი გაანგარიშება ხომ წინასწარია, მათ ხორცი უნდა შევასხათ.

ამ შეიძლება არ დაგვიფიქროს, მაგალითად, იმ გარემოებამ, რომ მანქანათმშენებლობის პროდუქციის ზრდის ტემპი ოთხი წლის შედეგების მიხედვით რესპუბლიკაში 1,5 პუნქტით ჩამორჩა საკონტროლო ციფრებს. ჩვენ მოგვიანია, რომ მანქანათმშენებელებს სავსებით შეუძლიათ შეავსონ ხარვეზი; ამისათვის საკმარისია გეგმის დამატებით გამოუშვან 10—15 მილიონი მანეთის პროდუქცია. სამაგალითოდ **ეს არის,** ამხანაგებო.

მაქსიმალურად უნდა შემცირდეს ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი, რომელთა შორის არიან ბაეფრთიანებანი „ავტოტანსფორმატორი" და „საქსოფლმანქანა", ფოთის ელექტრომანქანური გამაძლიერებელთა ქარხანა, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა და მთელი რიგი სხვა საწარმოები, მათ შორის ისეთები, რომლებიც ჩაბმული არიან ფართო მასშტაბის საერთო-საკავშირო ექსპერიმენტში.

რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა უნდა გითვალისწინოს შექმნილი მდგომარეობა და დაამუშაოს საკითხი, რომ დამატებითი დავალებანი დაუწესებეს ზოგიერთ მანქანათმშენებელ საწარმოს, მათ შორის ისეთიც, ვინც წარმატებით ირთმევს თავს ხუთწლიან გეგმებს.

ზემონათქვამი ეხება საკავშირო დაქვემდებარების სხვა საწარმოებსაც. კერძოდ, არის შესაძლებლობა რამდენადმე შემცირდეს ჩამორჩენა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, თუ საკავშირო ორგანოებში გადაწყვეს ნავთობის დამატებითი მიწოდების საკითხი. მეუთბოვრად უნდა ვეძებოთ რეზერვები სხვა დარგებში, რისთვისაც მთავარ არგუმენტად გამოგვადგება სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის მითითებანი.

ერთი სიტყვით, პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა საგანგებო წესები უნდა დაუწესონ საბრეწველო წარმოების ზრდის ტემპს როგორც მთლიანად რესპუბლიკაში, ისე მის ცალკეულ რეგიონებში.

ჩვენ, ამხანაგებო, გაფრთხილებთ, რომ ბევრ ხელმძღვანელს მოუწევს სიტყვასიტყვით ჩაბარონ ანგარიში საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას იმის შესახებ, თუ რა იღონეს, რათა უზრუნველეყოთ რესპუბლიკის გასვლა დაგეგმილ მიჯნებზე. ყოველი კომუნისტი ხელმძღვანელი ბრალ უნდა იყოს ასეთი სერიოზული, პირფთვნელი სჯა-ბაასისათვის.

II.

ეს არ იცის, რომ იმაზე, თუ რა მარაგნაკეთით დაავამთავრეთ ამ ხუთწლიდს, დიდად არის დამოკიდებული ჩვენი საქმეების მდგომარეობა მომავალში. ამ თვალსაზრისით კი ალოკანა უაღრესად ზუსტად არის დასახული: მეთორმეტე ხუთწლიდს ენერგიული სტარტი უნდა ეკნეს!

ამ მიზნით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თეორიულად და პრაქტიკულად შეიმუშავა კონკრეტული კურსი — ფართოდ გამოვიყენოთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები, შევიუსტავეთოთ სოციალისტური მეურნეობრივი ფორმები თანამედროვე პირობებსა და მოთხოვნილებებს, მივაღწიოთ სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის არსებითს დაჩქარებას. სხვა გზა უბრალოდ არა გვაქვს, ხაზგასმით აღნიშნა აპრილის პლენუმზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა.

პლენუმმა განსაზღვრა ამ სტარტეგიულ ამოცანის რეალიზაციის საკვანძო მიმართულებანი: ეკონომიკის ინტენსიფიკაცია და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მართვისა და დაგეგმვის, სტიმულირების და ინვესტიციური პოლიტიკის გარდაქმნა, ორგანიზებულობისა და დისციპლინის საყოველთაო გაძლიერება, საქმიანობის სტილის ძირეული გაუმჯობესებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა უკანასკნელი წლების მანძილზე, მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თათბაზე, შეძენილია ამ პრობლემათაგან ბევრის გადაწყვეტის საკმაოდ საგრძნობი გამოცდილება, რომელმაც შეფასება პოვა მთელ რიგ პარტიულ დოკუმენტებიც. ახლა, აპრილის პლენუმის შემდეგ, ამოცანა ის არის, რომ ვიმიკმედოთ უფრო თამამად, ენერგიულად, ფართოდ დაენერგოთ პრაქტიკაში გამომდგარი ეფექტურობენტების შედეგები.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დაგეგმვის საკითხებს, რომლებსაც ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა მართვის სული და გული უწოდა. და შემთხვევითი როდი იყო, რომ რესპუბლიკის უკანასკნელი წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპის დაჩქარების პროცესი, უწინარეს ყოვლისა, დაგეგმვისა და მართვის სრულყოფას ეფუძნებოდა.

ბევრი რამ გაკეთდა. ამ თვალსაზრისით ყოველ ხუთწლედს ჰქონდა სპეციფიკური დატვირთვა, იგი წარმართავდა ჩვენს სახალხო მეურნეობას ყველაზე აქტუალური ამოცანების გადასაწყვეტად. ამის შედეგად წარმოების მოცულობის ზრდის ტემპის ცალკეული უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების უზრუნველყოფისკენ ჩვენ გადავედით მთელი საგინანსო-ეკონომიკური საქმიანობის გაღრმავებულ ანალიზზე, მოგების, პროდუქციის თვითღირებულების მართვის სისტემის შექმნაზე და ა. შ., ფულის მიმოქცევის გარკვეულ რეგულირებაზე. ასეთი გაზლავთ დაგეგმვის სფეროში ჩვენი ძიების დიაპაზონი.

სწორედ ეს მნიშვნელოვანწილად დაგეგხმარა თანამედროვულად გაგვიტარებინა სტრატეგიული ხაზი — გვიღვაწა, რათა დაგვეძლია რესპუბლიკის შედარებითი ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონისაგან სოციალურ-ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით. დიდი ღონე შეასხეს ამ საქმეში მეთერთმეტე ხუთწლედმა. პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ხუთწლედის დამლევისათვის რესპუბლიკაში მივაღწეთ, ის კი არა, რომ ადგილადვე გადავაჭარბეთ კიდევ ერთ სულ მოსახლეზე განაკვეთებით ეროვნული შემოსავლის წარმოების საშუალო საკავშირო დონეს.

ამასთანავე მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით რესპუბლიკა ჯერ კიდევ არსებითად ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონეს. მაგალითად, მცირეა მრეწველობის ხვედრითი წილი სახალხო მეურნეობის სტრუქტურაში. ამ თვალსაზრისით გასაწევი მუშაობის სირთულე და მოცულობა კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება, თუ რესპუბლიკის ცალკეულ სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს შეეადარებ ქვეყნის მოწინავე რეგიონების დონეს.

საქართველოს რესპუბლიკას ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპის მიხედვით მეცხრე ადგილი უკავია ქვეყანაში, ხოლო მოხმარების ფონდის ზრდის ტემპის მიხედვით — მეთორმეტე ადგილი. საერთოდ, უფრო დეტალურად არის დასაბუთებული დაგრძელებისა და მოხმარების ფონდების თანაფარდობის საკითხი. უდავოა, წარმოებული ეროვნული შემოსავლის გადამტრება გამოყენებულთან შედარებით ჩვენ კარგად გვახასიათებს. მაგრამ აქაც უნდა განვსაზღვროთ და უზრუნველეყოთ ოპტიმალური პროპორციები.

ვფიქრობ, სწორედ ამ ტენდენციების გათვალისწინებით: ერთი მხრივ, განვითარების სწრაფი ტემპის, ხოლო, მეორე მხრივ, მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი პოზიციების მიხედვით ჯერ კიდევ არსებული ჩამორჩენის გათვალისწინებით,—უნდა განვსაზღვროთ სწორედ მთავარი მამრთულებანი პერსპექტივისათვის, მოგამზადოთ შესაბამისი მასალები და რეკომენდაციები ყრილობისათვის.

ამავე დროს ნურც ის დაგვავიწყდება, თუ როგორ აქტუალურია რესპუბლიკისათვის საწარმო ძალების ოპტიმალური განლაგების პრობლემა. საქმე იმაში ცალკეული რეგიონების, უწინარეს ყოველისა, მთის რაიონების დაწინაურებაში.

ამ საკითხებს არ ვაკლებთ ყურადღებას. მიღებულია 20-ზე მეტი სპეციალური დადგენილება. მეათე და მეთერთმეტე ხუთწლედების მანძილზე რესპუბლიკის მთისა და მთისწინეთის რაიონებში ზარდაფა 35 ფაილი, რომლებიც 83 მილიონი მანეთის პროდუქციას უშვებენ.

მაგრამ ეს ტემპიც სრულიად არასაკმარისად მიგვაჩნია. რაც მთავარია, დროა ცალკეული, თუნდაც დიდი გადაწყვეტებიდან ვადაგადეთ ასეთი რეგიონების უპირატესი განვითარების სისტემურ, კომპლექსურ დაგეგმვაზე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა უზრუნველეყოთ მომავალი წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის გეგმის ხარისხოვანი დამუშავება. დაგეგმვის ხარისხის საკითხი ღღეს, ეაცმა რომ თქვას, ყველაზე აქტუალურია. ეს ეიცით საკუთარი, როგორც პოზიტიური, ისე უარყოფითი გამოცდილებით.

იმისათვის, რომ ენერგიულად შეეფიდეთ მეთორმეტე ხუთწლედს, საჭიროა სწორედ ახლა, მოსამზადებელ პერიოდში, გამოვიტანოთ პრინციპული დასკვნები შეცდომებიდან, რომლებიც მეცხრე, მეთე, მეთერთმეტე ხუთწლიანი გეგმების შედეგნისას მოგვდიოდა. არადა, ხარვეზები, ამხანაგებო, მრავლად გვქონდა.

ამიტომ საჭიროა კარგად გავაანალიზოთ, გავითვალისწინოთ მთელი ჩვენი პრაქტიკა, მათ შორის შეძენილი მნიშვნელოვანი პოზიტიური გამოცდილებაც რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედისა და უფროო შორეული პერსპექტივის პროგრამის შემუშავებისას.

აქ, უწინარეს ყოველისა, გვმართებს სწორად განვსაზღვროთ დაგეგმვის დარგში ჩვენი იდეიოლოგიის არსი. ზემოალნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი საგეგმო პოლიტიკა მეთორმეტე ხუთწლედში მიზნად უნდა ისახავდეს იმას, რომ უმნიშვნელოვანესი პოზიციების მიხედვით საშუალო საკავშირო დონეესთან შედარებით ჩამორჩენილ სამოლოო დაძლევის ეკალობაზე არა მარტო ცალკეულ შრომელთა კოლექტივებს, არამედ რესპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობასაც მიზნად დაეფესახოთ მიაღწიონ ჭეეეულის ყველაზე მაღალგანვითარებული რეგიონების დონეს, საუკეთესო მაჩვენებლებს ყოველ დარგობრივ კომპლექსში. ეს მთავარი ამოცანაა, და სწორედ ასეთი სულისკვეთებით უნდა ეიმზადოთ ყრილობისათვის.

განა ეოტაას მიაღწიეს ამ მხრივ თბილისელმა ავიამშენებლებმა, როდესაც გამოიჩინეს ინიციატივა „ყოველი საწარმო დარგში, ქვეყანაში საუკეთესო უნდა გახდეს!"? განა რაღაცერი არ არის ასეთი მიდგომა, ეთქვათ, მადნეულის სამთომამდიდრებელი კომბინატის მიერ, მთელი რიგი მანქანათმშენებელი ქარხნებისა და გაერთიანებების, მსუბუქი და კვების მრეწველობის ზოგიერთი საწარმოს კოლექტივებისათვის და ა. შ.? ვფიქრობ, რომ სავსებით რეალურია. ჯერ კიდევ ეოტა ხნის წინათ, ხუთი-ექვსი წლის წინათ, ავიამშენებლებიც. მადნეულელებიც სერიოზულად ჩამორჩებოდნენ საშალაო შუშაობის მაჩვენებლებს, ახლა კი გადიან მოწინავე პოზიციებზე.

ამავე დროს მიგვაჩნია, რომ მეთორმეტე ხუთწლედი სანიმუშო უნდა გახდეს თვით დაგეგმვის, გეგმის შედგენის მეთოდიკის თვალსაზრისით. ეს ეხება არა მარტო რესპუბლიკურ ორგანოებს, არამედ ადგილობრივ საგეგმო კომისიებსაც.

სწორედ ამ საფუძველზე უნდა ვამყარებდეთ მთელ ჩვენს წინადადებებს, რომლებიც ეხება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებს.

III.

მეთორმეტე ხუთწლედის ძირითად მიმართულებათა კონკრეტული პარამეტრები ახლა შემუშავების სტადიაშია. ისინი კიდევ დაზუსტდები XXVII ყრილობამდე. ამიტომ არ უნდა იყოს საკმარა ციფრისა და გაანგარიშების მოყვანა.

ამასთანავე, ჩვენ ზუსტად უნდა გავერკვეთ სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგებისა და სფეროების განვითარების ძირითად ტენდენციებსა და მიმართულებებში, რათა ყრილობაზე წარვდგეთ მათი განვითარების ღრმად მოფიქრებული პროგრამით.

ინტენსიფიკაციისაკენ ძირეული შემობრუნება გულისხმობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ინტენსიურ დაჩქარებას, ხელშემწყობი პირობების შექმნას მეცნიერების უკანასკნელი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დასანერგავად. ეკონომიკურ კომიტეტის აპრილის პლენუმმა ეს პრობლემა პრინციპულად ახალ სიმაღლეზე დააყენა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალური დაჩქარება ახლა პარტიამ წინა პლანზე წამოსწია.

უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის შემდეგ ჩვენ გაცილებით უფრო საგნობრივად ვმუშაობთ მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის საკითხებზე, მათი შედეგების გამოყენებაზე სახალხო მეურნეობაში, არსებითად ავამოღეთ მეცნიერებაში პარტიული ხელმძღვანელობის დონე, გვიდია ერეთ მართვის შესაბამისი ორგანოების —მეცნიერებათა აკადემიის, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობა. დაიხვეწა სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, მედიცინის მეცნიერების მართვა, მიმდინარეობს წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის არატრადიციული ფორმების აქტიური ძიება. ეფექტანად მოქმედებს მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო.

მართვის რეგიონალური ასპექტების ზოგადი განვითარების ფორგლებში იხვეწება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტერიტორიული მართვა.

განსაკუთრებით ნაშნადობლივია, რომ ძირფესვიანად შეიცვალა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელების თვითდამოკიდებულება მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისადმი. კონკრეტულად ამ გარემოებამ დადებითი გავლენა მოახდინა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმების შესრულებაზე. ხუთწლედის მანძილზე სიახლეთა დანერგვის ეკონომიკური ეფექტი გაორკეცდა, ხოლო 1975 წელთან შედარებით — ერთისამად გაიზარდა. განსაკუთრებით გვაბარებს, რომ ეს ტენდენცია დამახასიათებელია აკადემიის ინსტიტუტებისათვის.

და მაინც, რეზერვები აქ ეეშმარიტად ამოუწურავია, უწინარეს ყოველისა, ისევ და ისევ დაგეგმვის დარგში.

მაინც, როგორი უნდა იყოს მაღალხარისხოვანი გეგმა ახალი ტექნიკის მიხედვით? ცხადია, რომ იგი წარმოებას მიზნად უნდა უსახავდეს მიაღწიოს ყველაზე მაღალ საბოლოო შედეგებს შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის ხარისხის, ფონდეუტვების, ნედლეულის, ენერგიისა და მასალის ეკონომიის მიხედვით. ამისათვის გეგმით უნდა გავითვალისწინოთ ყველაზე პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა. ტექნოლოგია დღეს საკვანო საკითხი, სფეციალური საფუძველი. ყოველმა გაერთიანებამ, ყოველმა საწარმომ უნდა იგრძნოს, რომ იგი ამ დარგში დიდი მასშტაბის ღონისძიებათა განუხორციელებლად ვერ გადაწყვეტს მეთორმეტე ხუთწლედის ამოცანებს.

რესპუბლიკაში შემუშავებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 1986-2005 წლების კომპლექსური პროგრამა. მისი დაფუძნია და დაკონკრეტების დროს, ისევე როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმების შედგენისას, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საკრონა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ პროგრესული ტექნოლოგიები, გამოოვლითი ტექნიკა და ელექტრონეა, მოკნილი ავტომატიზებული საწარმოო სისტემები, ჭკვეთრად შეეამციროთ მასალოტევადობა და გავზარდოთ პროდუქციის მეცნიერებათტევადობა. მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სახშენისა და მეცნიერებათა აკადემიის, სამინისტროებისა და უწყებების ამოცანაა ეიყვანონ ახალი ხუთწლედის რესპუბლიკური მიზნობრივი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამები ისეთ დონედ, რომ მათ კონკრეტული უკუგება მოჰქონდეთ წარმოებაში. ერთი სიტყვით, ამხანაგებო, ჩვენი მეცნიერულ-ტექნიკური გეგმები და პროგრამები უფრო სრულყოფილი, პროგრესული უნდა გაეხადოთ.

იმისათვის, რომ ასე სიტყვით, არამედ საქმით გადავაქციოთ რესპუბლიკა მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დაერგვის პოლიგონად, საჭიროა მნიშვნელოვნად ავამაღოთ შრომის ფონდშეიარაღება და ენერგოშეიარაღება, გაუბრალოთ პროგრესულ სახეობათა მანქანა-მოწყობილობის ხვედრითი წილი.

აბა, რა ტექნოლოგიურ დონეზე შეიძლება ლაპარაკი, თუ მანქანათმშენებლობაშიც კი ავტომატური და ნახევრადავტომატური ჩარხების წილი ჩვენში 12 პროცენტს არ აღემატება, რიცხველი პროგრამული მართვის ჩარხების წილი ოთხ პროცენტს შეადგენს, ხოლო ავტომატურ ხაზებში შემავალი ლითონსაჭრელი ჩარხებისა — სულ ორი პროცენტია? მატულობს მრეწველობის ძირითადი ფონდების ცვეთადობა. თუ 1980 წელს საშუალად წლის მანძილზე განაახლდა მანქანა-მოწყობილობის 15,3 პროცენტი, 1983 წელს ამ ციფრმა მხოლოდ 13,3 პროცენტი შეადგინა. მიმდინარე ხუთწლედში მანქანა-მოწყობილობის ყმაწვილდან გამოსული ფაქტობრივი საშუალო წლოვნი. მაჩვენებელი ნორმატიულზე თითქმის 1,6-ჯერ ნაკლებია. მარტო მანქანათმშენებლობის საწარმოებში მესამეზე მეტი მოწყობილობის სამსახურის ვადა 15 წელს სჭარბობს.

აი, რატომ არის ჩვენი რესპუბლიკისათვის განსაკუთრებით აქტუალური სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მითითება იმის თაობაზე, რომ საჭიროა არსებითად ამაღლდეს მოწყობილობის გამოკეთის კოეფიციენტი.

ბუნებრივია, ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ეკუდა მანქანათმშენებლობას ეკუთვნის. როგორც ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, მის განვითარებას პრიორიტეტული ხასიათი უნდა მივანიჭოთ. ეს ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის პრინციპული მითითებაა.

მეთორმეტე ხუთწლედში გაიზრდება მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების წილი რესპუბლიკის სამეურნეო წარმოების საერთო მოცულობაში. ეს მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას დარგის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გაძლიერებისადმი. როდესაც საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების საკითხებზე ვმუშაობთ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ მაღალეფექტიანი ტექნოლოგიური. პროცესების ათვისებას, დიდმწარმოებლური მოწყობილობის დანერგვას, შესაფერი კონსტრუქციების, ზუსტი ტვიფრვის გამოყენების სფეროს გაფართოებას და ა. შ.

ეს საკითხები უნდა ისახოს რესპუბლიკისა და შესაბამისი საკადშორო სამინისტროების ერთობლივ ორმხრივ ღონისძიებში. არ იქნება ეურეგო, თუ მინისტრთა საბჭო სახელმწი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შედეგები და სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მზადების ამოცანები

(გაგრძელება)

საბოლოო ანგარიშით, იმ დასკვნამდე მივდიოთ, რომ აუცილებელია სერიოზულად გაუმჯობესდეს მართვა, საერთოდ სამეურნეო მექანიზმი. ეს ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროს ეხება. ეს პოლიტიკური, ეთიკიდან იგი განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე წარმოებით ურთიერთობის საერთო სრულყოფის კალაპოტში მოქცეული.

ბეერი რამ გვაქვს განსაზოგადებელი საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე. ერთობ სოლიდური გამოცდილება დაგვიგროვდა. ეს საკითხები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარიზის პლენუმსაც მოვახსენეთ. ჩვენი მმართველობათი ექსპერიმენტები და სიახლეები სწორედ იმას ისახავს მიზნად, რომ თავი დავაღწიოთ ყველაგანულ, უხეირო ინსტრუქციების ტყვეობას, რომ, როგორც პლენუმმა მოითხოვა, კეთილად გავაკეთოთ ცენტრალიზებული საწყისი სტრატეგიულ ამოცანების გადაწყვეტაში და იმავდროულად გაუზარდოთ რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობა სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მართვაში. ერთი სიტყვით, ჩვენი მთავარი მიზანია ოპტიმალურად შეეფხვნოთ ერთმანეთს ცენტრალიზებული და ტერიტორიული საწყისები და მართვაში, დავძლიოთ კუთხური და უწყებრივი ტენდენციები, დავიცვათ სახელმწიფო ინტერესები. ესე იგი დავამკვიდროთ და განვავითაროთ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპები სახალხო მეურნეობის მართვაში.

ჩვენმა მმართველობითმა სიახლეებმა ყველაზე დასრულებული სახე ბოლს აგროსამრეწველო კომპლექსის სფეროში. ჩვენ არ დავჯერდით მხოლოდ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა შექმნას და გადავდგით შემდეგი ნაბიჯიც— გავაერთიანეთ სამი რესპუბლიკური სამინისტროო და უწყება ერთიან სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომიტეტად, რითაც შევქმენით მეურნეობრიობისა და მართვის მთლიანი სისტემა.

ამან განაპირობა საგრძნობი ძვრები სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში. საერთო-საკავშირო ფონდში გაგზავნილია 3,2-ჯერ მეტი ციტრუსი, 1,8-ჯერ მეტი ხილი და 1,2-ჯერ მეტი ბოსტნეული და კარტოფელი. გაცილებით უკეთ კმაყოფილდება რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტებზე. და ყოველივე ეს — ამნაირი უმძიმესი პირობებში!

მაგრამ განა შეგვიძია დავსაკვნალ, რომ მართვის შექმნილი სისტემა ოპტიმალურად გამოიყენება? სამწუხაროდ, არა. აქ მიზეზები ბევრია — სუბიექტური და ობიექტური. ისინი არაერთგზის აღგვნიშნავს, მაგრამ ათთგან ძირითადი გახლავთ სოფლად შექმნილი პოტენციალის არასაკმარისი გამოყენება. ეს ეწერნარეს ყოველისა ეხება მიწას, მატერიალურ-ფინანსურ სახსრებს, მექანიზაციას, მელიორაციას, ქიმიზაციას. დაბალია ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის დონე, მცირეა პირუტყვის პროდუქტიულობა, დიდია წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება.

დღეს, როდესაც საქმე ეხება სამეურნეო წლის, მთლიანად ხუთწლედის წარმატებით დამთავრებას, მე მგონი, ზეიმია დავუსახოთ სოფლის მშრომელებს ამოცანა— ერთხელ კიდევ გადასინჯონ თითოეული ბრიგადის, ფერმის, ყოველი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის შესაძლებლობანი და მიალწონ პროდუქციის წარმოების ზრდას 0,5-1 პროცენტით, დამზადებისას — 1-2 პროცენტით, შეამცირონ დანაკარგები 3-5 პროცენტით. ეს სავსებით რეალური ციფრია. სპეციალ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა, ხილმოსტეულის მეურნეობის სამინისტრომ, რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებებმა ორი კვირის ვადაში მოამზადონ საჭირო მასალები და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად შეიტანონ შესაბამისი წინადადებანი რესპუბლიკის დირექტიულ ორგანოებში.

ახლა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში კონტროლზეა აყვანილი საკვებწარმოების საკითხები, და არა მარტო სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილებაში, არამედ აგრეთვე ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობისა და იდეოლოგიურ განყოფილებებშიც.

